20.09.2023

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის აგვისტო

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.4 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 0.3 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი შემცირდა 9.9 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 1.2 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები შემცირდა 11.6 პროცენტით. ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 30.5 პროცენტიანი ზრდა, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე ფასები შემცირდა 17.7 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აგვისტოში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**90.1**	**-9.90**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**101.2**	**0.23**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**88.4**	**-9.68**
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	66.7	-3.05
24	ძირითადი ლითონები	81.2	-4.50
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**130.5**	**0.02**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**82.3**	**-0.46**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.09.2023

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge